KA030194058888620

№ 01-6350 **18 / ივნისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

მინისტრის პირველი მოადგილის თამარ გაბუნიას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

მოგახსენებთ, რომ ქვეყანაში კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გეგმავს ანტიგენ-ანტისხეულებზე დაფუძნებული კორონავირუსის სადიაგნოსტიკო ტესტების გამოყენების გაფართოებას სხვადასხვა ფოკუს ჯგუფებში, კერძოდ, ორსულებში (რუტინულად), ქირურგიული ჩარევების წინ, არაცხელების მქონე სხვა სომატური პრობლემების მქონე პაციენტებში, ასევე სეროლოგიური კვლევების ჩასატარებლად დასენიანებულ უბნებში და სხვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დამატებითი რაოდენობით სწრაფი ტესტების შესყიდვა COVID-19-ზე გადაუდებელი რეაგირების პროექტის განხორციელებისთვის მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი სესხის (სესხის ნომერი #9113-GE) ფარგლებში.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში სამინისტროს მიერ მიმდინარე წლის მაისის თვეში უკვე შესყიდულ იქნა “Green Lab Ltd”/“Biogene Ltd”-ის მიერ მოწოდებული ჩინური კომპანია Zhajiang Orient Gene Biotech-ის მიერ წარმოებული კორონავირუსის სადიაგნოსტიკო ანტისხეულზე დაფუძნებული 30 000 ტესტი, რომელიც წარმატებით იქნა გამოყენებული სამედიცინო დაწესებულებებისა და ლაბორატორიების მიერ. ასევე, დადებითად შეფასდა კორეული კომპანია SD BIOSENSOR-ის მიერ მოწოდებული ანტიგენზე დაფუძნებული ტესტები (შესყიდულ იქნა ჯამში 50 000 ცალი).

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის დეპარტამენტს მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში ზემოხსენებული ტესტების დამატებითი რაოდენობით შესყიდვა, კერძოდ 67 000 ცალი ანტისხეულზე დაფუძნებული ტესტი (17 000 ტესტი მომწოდებელს ადგილზე აქვს და დაუყოვნებულ შეძლებს მოწოდებას), ასევე, 100 000 ცალი (პირველ ეტაპზე 50 000 ცალი) ანტიგენზე დაფუძნებული ტესტი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველი მოადგილე

თამარ გაბუნია